№ 957 კვირა, 7 ნოემბერი. 1896—1899 კვირა, 7 ნოემბერი № 957

კანტორა და რედაქცია ტფილისი, სასახლის ქ., სათ.-აზნაურო კარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართონ რედაქციის დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—დან „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზია.
ხელ-მოუწერელ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველ დღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთი თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул.
д. Дворянства.
Телефонъ № 363

წლის დამლევამდე
გაზეთი „ცნობის ფურცელი"
ეღირება 1 მან. 50 კაპ.

## ქართული თეატრი
### ხუთშაბათს, 11 ნოემბერს,

არტისტი ქალის კნ. ბარბარე ავალიშვილის სასარგებლოდ

ქართული დრამატიული საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება განახლების შემდეგ პირველად

## კიდევ ერთი მსხვერპლი

კომედია 5 მოქმედებად თხზ. გ. ნ. სუნდუკიანცისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ქ. გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილისა, ანასტასია აბაშიძე, ნეპიერიძე; ბ.ბ. აბაშიძე, ყიფიანი, სვიმონიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, ალამიძე და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი 8 საათზე.

რეჟისორნი: ვ. აბაშიძე და ქ. მესხი.

!!მიაქციეთ ყურადღება!!

## ჩინეთის მაღაზია
დ. ფ. დემენტიევისა

გოლოვინის პროსპექტი, ზუბალაშვილის [illegible] სობრანიეს გვერდზე.

იმპერიული ჩაი პირველი მოკრეფისა 1898 წლისა
მშვენიერი ყნოსვისა და სასიამოვნო გემოსი

ჩაი და ყავა იყიდება წვრილად და პარტიობით

ყოველს მყიდველს ჩვენის ჩაისას დაეთმობა მანათზე აბაზი და საჩუქრად მიიღებს ჩინეთის, იაპონიის და სხვა საპირო და საოჯახო ნივთს.

ვინც 12 ან მეტ გირვანქა ჩაის იყიდის ჩვენგან იმას
საჩუქრად მიეცემა ჩაის სერვიზი

იქვე მრავალგვარი ჩინეთის და იაპონეთის ნივთებია საჩუქრებისა და ნობათებისათვის

მაღაზიები იმყოფება როსტოვ-დონზე, კიევში, ოდესაში, იალტაში, ნიკოლაევში, ეკატერინოდარში, ხარკოვში, ეკატერინოსლავში პიატიგორსკში და ტფილისში

!!მიაქციეთ ყურადღება!!

(100—81)

სამკურნალო და სასარგებლო დასალევი

## ქეფირი და კუმისი

ერთად ერთი ქარხანა, რომელიც არსებობს 1887 წ.

მოწონებული სამკურნალო უწყებისაგან და მენდლით დაჯილდოვებული ორს გამოფენაზე.

იყიდება მხოლოდ ო. კორონასთან ლორის-მელიქოვის ქუჩაზე ზუბალოვის სახლებში აფიცერთა საეკონომიო საზოგადოების წევრთათვის და მოწაფეთათვის, ფასი დაკლებულია.

(100—95) ო. კორონა.

## „ბუნების კარი"
(ახალი შევსებული გამოცემა)

დაიბეჭდა მეათედ (50 000) და ისყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში. ეს გამოცემა შევსებულია. თექვსმეტი გვერდით უფრო დიდი წინანდელს გამოცემაზედ ფასი კი დაკლებულია. წინად ღირდა 90 კაპ. ახლა ღირს ყდიანად 80 კაპ. ანუ ოთხი აბაზი. ვინც ნაღდს ფულზედ ათზე ნაკლებს არ იყიდის, წიგნი დაეთმობა 70 კაპ., ხოლო ვინც ოცზედ ნაკლებს არ წაიღებს, იმას წიგნი მიეცემა 64 კაპ.

(6—6

კვირას 7-ს ნოემბერს „ბურ-დუინოში" დანიშნულია კრება ქართველთა სააღებმიცემო ამხანაგობის

## „შუამავლისა"

კრებას უნდა მოხსენდეს „შუამავლის" მაღაზიის უკეთესს ადგილზედ გადატანაზედ და მისს გაუმჯობესობა-გაფართოებაზედ.

კრება დაიწყება საღამოს 7-ს საათზედ წევრთ ამხანაგობისას ცალკე მოწვევას ბარათი არ გაეგზავნებათ

სამკურნალო და ამბულატორია

## ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგიო, თვალისა და დედათა სენით ავადმყოფობისანი,

კადამდებ სენით ავადმყოფნი, არ

მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგო თვალებ-ავადმყოფობას და სიფილისს ფ. ქ. ვერრატი.

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. ძოგანი.

ამბულატორიასთან არის კაბინეტი საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვის და მასაჟისათვის

სამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფურია

Лѣчебница С. В Топурія въ Кутаисѣ

## ახალი ამბავი

*** ქართული წარმოდგენა. შემდეგი ქართული წარმოდგენა და-

ნიშნულია ხუთშაბათს, წარმოდგენილი იქნება ცნობილი პიესა „ორი ობოლი“, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ პირველად ამ სეზონში მ. საფაროვ-აბაშიძისა, ნ. გაბუნია ცაგარლის და სხვანი.

⁂ ქუთაისის მეაბრეშუმეთა კრება. ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა კრების სხდომები ქუთაისში, ოთხშაბათს, 10 ნოემბერს. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის გ. მ. გერშელმანის თავმჯდომარეობით. კრებაზე დასწრება შეუძლიანთ ყველა მსურველთ.

⁂ ახალი წევრი კავკასიის სტრატეგიულ კომიტეტისა დანიშნულ იქმნა დირექტორი კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელარიისა ი. ი. სანდრიგაილო.

⁂ სოფლელების თხოვნა. წელს საზოგადოთ ქართლ-კახეთის სოფლები ძლიან დაზარალდა სეტყვისაგან. ძლიან განადგურდა თითქმის ნახევარი ქართლი. ამ განადგურებულის სოფლების გლეხკაცებმა თხოვნა მიართვეს ადმინისტრაციას და თხოულობენ, რომ წელს ხარჯი არ გადახდეთ და ეს ხარჯი გადახდეთ მხოლოდ კარგი მოსავლის დროს. ამისთანა თხოვნები აღძრულია ჩვენი გუბერნიის გარდა სხვა გუბერნიებშიაც.

⁂ შეწირულებანი. ტფილისის გუბერნიის მარშალმა თავ. კ. ი. მუხრან-ბატონმა შესწირა სახელოსნო ახალშენს ათი თუმანი შესწირა 65 მანეთი ალექსანდროპოლის მცხოვრებმა გრიგოლ აკოფოვმა.

⁂ ახალი დანიშნულებანი. ახალქალაქის მაზრის უფროსათ ინიშნება თელავის მაზრის უფროსის თანაშემწე ბ-ნი ზისერმანი. ახალციხის მაზრის უფროსათ ინიშნება ახალქალაქის მაზრის უფროსი.

⁂ საქონელზე ჯარიმა ტფილისში. ტფილისის გუბერნატორმა მისწერა ქალაქის მოურავს, რომ ქალაქმა მისცეს შენობა ადგილობრივ ვეტერინარს რათა რომ მან ჰკრიბოს ქალაქში შემოსულ ურმებზე თითო სულ ხარზე ან კამეჩზე 10 კაპ. და წვრილ საქონელზე 5 კაპ.

⁂ საინტერესო ცნობა. სახელმწიფო ბანკის განყოფილების შემნახვი ფულის კასაში, რომელიც იმყოფება ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებასთან, წარსულ ოქტომბრის თვეში ფული შემოსულა 49,230 მან. 25 კაპ. 222 ცალკე წიგნაკით. 1-ს იანვრიდგან შემოსულა სულ 1-ს ამ ნოემბრამდის 571,300 მან. 75 კაპ., 1,990 წიგნაკით. ოქტომბრის თვეში ფულის შემომტანელი ისევ უკან გაუტანიათ 3,095 მანეთი.

⁂ ქალის მოტაცება ტფილისში. ჩამოვიდა სიღნაღიდგან თავადი ხო—შვილი და გამოუცხადა პოლიციას, რომ სოფ. ქაილულის გლეხ-კაცს გიგო საგინაშვილს მოუტაცნია მისი და კნიაჟნა ანნა და წამოუყვანია ტფილისში. პოლიცია შეუდგა საგინაშვილის ძებნას და მალე შეპყრობილ იქმნა ავლაბარში. დამნაშავე დაატუსაღეს, კნიაჟნა-კი ძმებმა წაიყვანეს.

⁂ რკინის გზას გამგეობაზედ საჩივრების გამო. აგერ ეს ორი თვეა ქალაქის ვაჭრები უკმაყოფილებას აცხადებდნენ რკინის გზის გამგეობაზედ და მის უთავდარიკობაზედ. თურმე გზის სადგურებზედ სრულებით არა აქვთ ვაგონები, რომლებითაც შეიძლებოდეს საპალნის შემოზიდვა ტფილისში ან სხვაგან. მაგალითად შეშა ქალაქში არ შემოსულა რკინის გზით ორის კვირის განმავლობაში და უნდა გენახათ რა მდგომარეობაში იყვნენ ქალაქის მეშეშეები ეხლა, ღვთის მადლით მოსვლია რკინის გზას 300 ვაგონი რომელიც იმუშავებს განსაკუთრებით ხაშურს ქვევით.

⁂ საჯარო ლექციები ტფილისში. შარშანდელისამებრ საჯარო ლექციები საშუალო სასწავლებლების კურსები სხვა და სხვა საგნებისა დაიწყობა ვაჟების პირველის გიმნაზიის შენობაში ორშაბათს 8-ს ამ თვეს. ლექციების წინად გადახდილ იქმნება პარაკლისი, რომელზედაც შეიძლება დაესწრნონ უცხო პირნიც.

⁂ ტფილისის 1-ლ ვაჟების გიმნაზიას ახალი შენობის კურთხევა. დანიშნულია დღეისათვის სხვა და სხვა მიზეზების გამო გადაიდო 14 ამ თვისათვის.

## სასამართლოს მატიანე

—

1) გაბაშვილის მკვლელი. როგორც მკითხველებს ადრევე შევატყობინეთ სენატმა გააუქმა საქმე, რომლითაც ბრალდებოდათ დ. ი. გაბაშვილის მოკვლა თავ. ტუსიშვილს, ბარათაშვილს, აზნაურს ოსიტაშვილს და ქალაქის მცხოვრებს ტერ-შმოვანოვს. ამით სუყველის ტფილისის სასამართლო პალატამ გარდაუწყვიტა ოთხ-ოთხის წლით კატორღაში გაგზავნა პირველნი სამნი ციხეში დღემდის დაპატიმრებულნი არიან საქმის დაწყებიდგან, მხოლოდ უკანასკნელი ტერ-შმოვანოვი პალატის გარდაწყვეტილების შემდეგ გაიქცა და დაიმალა. დიდხანს იმალებოდა, მაგრამ ბოლოს შეიპყრეს ბაქოში და ტფილისის ციხეში დააპატიმრეს. დამნაშავეთა ვექილებმა ეს საქმე სენატში გადაიტანეს. სენატმა ეს საქმე ასე გასსაჯა: 1) რაც შეეხება ტერ-შმოვანოვს, სასამართლო პალატამ დანაშაულათ იცნო იგი მოწმების ღებრიევისა და ლაცაბიძესი, როცა ამ მოწმებმა უჩვენეს, რომ, როცა ეს პირნი დაეცნენ, ერთმა მათგანმა დაიყვირა: „ამოიღეთ ხანჯლები, ვერ კი გამოარკვიეს, ვინ დაუყვირა ეს სიტყვები, მხოლოდ ლაცაბიძემ სთქვა, რომ სიტყვები სთქვა იმ პირმა, რომელსაც პალტო ეცვა და იმანვე ხანჯალი დაარტყა გაბაშვილსაო.

სენატმა დაინახა, რომ მკვლელობაში ტერ-შმოვანოვი სრულებით დამნაშავე არ არისო. რაც შეეხება ტუსიშვილს, ბარათაშვილს და ოსიტაშვილს, სასამართლოს უნდა გამოერკვია თუ რომელი ამათგანი რამდენათ დამნაშავეა; თუმცა ესენი სულ ერთად მოქმედობდნენ, მაგრამ დამტკიცებულია, რომ გაბაშვილი იყო დაჭრილი ოთხ ადგილას ტანში ერთი თავში, მეორე ხელში, მესამე ხელში და ვითომ ეს უკანასკნელი ჭრილობა მიაყენა ბარათაშვილმა; სენატმა დაინახა, რომ პალატის კითხვებს არ ეთანხმება მისივე პასუხები, რისთვისაც მთელი საქმე დაბრუნებულ იქმნა ხელმეორეთ ისევ სამოსამართლო პალატაში გასარჩევათ.

—

2) ყაჩაღის საქმე. 5 ამ თვეს ქალაქ გორში ტფილისის ოლქის სასამართლოს განყოფილებამ განიხილა საქმე დავით ხინჩავაშვილისა, რომელსაც ბრალდებოდა ყაჩაღობა გორისა და სხვა და სხვა მხარეებში. ეს ყაჩაღი შეიპყრო შარშან პოლიციის ბოქაულმა ე. გუგუშვილმა ამ საქმეში ორმოც მოწამემდის იყო მოწვეული; ესენი იყვნენ მსხვერპლნი ამ ყაჩაღისა.

სასამართლომ დამნაშავეს გარდაუწყვიტა კატორღაში გაგზავნა 15 წლით.

## ოჯახში გამოსადეგი ცნობა

—

თამბაქოს ბოლისაგან ხორცის ვნება. თამბაქოს წევა იმ ოთახში, სადაც ხორცი ინახება, ძლიან ჰვნებს ხორცს. დაკვლილ ხორცს რომ თამბაქო უხრჩოლოთ დიდ ხანს, მაშინ იგი შავდება და საზიზღარი ფერი ეძლევა, ოთხფეხიც აღარა სჭამს მას; თურმე რომ აურიოთ იგი და ძაღლს გადააგდოთო, რამდენიმე საათს უკან მანჭვა მოსდის, სული უგუბდება და ცოტა ხანს უკან კვდება. ახალი ხორცის ნაჭერს რომ უხრჩოლოთ თამბაქო, იგი დაშხამულობას მეწვითა და მოხარშვითაც არა ჰკარგავს; მაგრამ ეს კია რომ მოხარშულს შემწვარზე ნაკლებად ემჩნევა შხამი, და მხოლოდ დებინებას და დაჭმართებს ხოლმე. მოხარშულ ან შემწვარ ხორცზე თამბაქოს ბოლი ისე არ მოქმედებს, როგორც უმზე, ამასთან, რამდენიც ნაკლებად არის შემწვარი, იმდენი ბოლით უფრო მეტად იჟღინთება; ცხელ ხორცზე უფრო მეტად მოქმედებს თამბაქო, ვიდრე ცივზედ. თამბაქოს ჯიშსაც გავლენა აქვს შხამის სისუსტე-სიძლიერეზედ; მეტად შხამიანი ნესტიანი თამბაქოსი და სიგარების ბოლია. თამბაქოს ბოლი საზოგადოდ ცუდად მოქმედებს ყველა საჭმელზედ, მხტადრე თუ გაუქარვებელი ოთახია, შხამიან თვისებას აძლევს მათ და ამ ბოლით გაჟღენთილი საჭმელები ადამიანის სხეულზედ ძლიან მავნებლად მოქმედებენ.

ზამთრობით ბოსტნეულის მწვანედ შენახვა. ლობიო, ცერცვი, სატაცური და სხვა, რაცა ჰსურთ შეინახონ, მზიან დღეში უნდა დაიკრიფოს, სუფთა რბილი ტილოთი გაიწმინდოს და ცალკე ცალკე შუშის ბოთლებში უნდა ჩაიწყოს ისე, რომ ერთმანეთს არ აწუხებდეს. ბოთლები მაგრად უნდა დაუცონ, ყელთამდის ცივ წყალში ჩაუდგან, ცეცხლზე შემოდგან და თხუთმეტი წამი წყნარად ადუღონ. შემდეგ როცა წყალი გაცივდება, ბოთლები უნდა ამოიღონ და სარდაფში დააწყონ შესანახად.

## სამეურნეო ცნობა

—

ვაჟინის (სიროპის) დამზადება. საზოგადოდ ხილის ვაჟინს ამ რიგად ამზადებენ: ხილიდგან წვენს გამოსწურავენ ხოლმე, გასწურავენ მას, მიუმატებენ რამდენიმე ნაწილს შაქარს და შემდეგ ჰხარშავენ. ამ გვარად დამზადებული ვაჟინი მღვრიეა, უფერული და მალე ფუჭდება. იმის მიზეზი ის არის, რომ ხილში ერთგვარი ნივთიერება—პექტინი და ამის მოშორებაა საჭირო, თუ გინდათ მართლა კარგი ვაჟინი იქონიოთ. პექტინის მოშორება ხილიდგან ადვილია,—საჭიროა მხოლოდ ხილი გაიფცქვნას, კუნწი და თესლი მოჰშორდეს. შემდეგ, ამ გვარად გარჩეულს ხილს სრესვენ თიხის ჭურჭელში ხის როდინით; ამ რიგად მოდებულს ფაფას ჩაასხმენ ხოლმე მაღალს თიხის ქილაში, ზედ ნახევარ გირვანქა შაქარს დააყრიან და თავდაუხურავს თბილს ადგილას დასდგმენ ხოლმე (ცელზიის ტერმომეტრით 20°—25°

[...]და იყოს). ყოველ დღე ფრთხილად [...]ადა საერთოს ხის კოვზით. 2 ან 4 დღის შემდეგ დაატყობთ, რომ დაჭყლეტილ-დასრესილი ხილი დადუღებულა, რადგან თავზე თხლად თბი ეკიდება; მაშინ წვენი უნდა გამოიწუროს და კარგად გაიწუროს საწურავს ქადაღში, რომ წვენში უკეთ გადაიწუროს, წვენში, მაინც და მაინც ნადუქისაგან უნდა განთავისუფლდეს, ცოტა ნადებ [...]ოხდილი რძე უნდა გაერიოს და კარ[...] აჯანჯღალდეს, ხოლო რამდენიმე [...]ის შემდეგ ტილოში გაიწუროს. ამის [...]ეგ წვენის ხარშვას იწყობენ; ხუთ [...]იდ წვენზე რვა წილს დანაყილს წმინდა ლერწმის შაქარს ასხმენ და მერე სწრაფად აადუღებენ ხოლმე. რაც მეტი ხანი იხარშება ჯაყინი, მით უფრო ნაკლები სიტკბო რჩება. დასასრულ ამ რიგად მიღებულს ჯაყინს ხელახლად სწურავენ მაუდში, აცივებენ, წმინდა და მშრალს მინის ჭურჭელში ასხამენ, ისე რომ ჭურჭელი თავამდის სავსე უნდა იყოს კარგად ჭხურავენ [...]ავს და ცივს ადგილს ინახავენ.

### საოჯახო ცნობა

—

[...]რა ლონის-ძიებით შეიძლება დაჟანგებული ჭახრაკის მოტრიალება. ყველამ იცის, რომ დაჟანგებული ჭახრაკის მოტრიალება ჩვეულებრივი ლონის-ძიებით ძალიან ძნელია და თითქმის შეუძლებელი, ისე რომ ხშირად მოტრიალების [...]აგიერ ტყდება ხოლმე. ეს გარემოება მეტად უძნელებს საქმეს ვისაც რამე მანქანის, მაგალ. სამეურნეო რამ მანქანის დაშლა ესურს. ამ გაჭირვების საშველად ერთი მეტად უბრალო ლონის-ძიება არის და ამ ლონის-ძიებით რაც უნდა დიდი-ხნის დაჟანგებული ჭახრაკი იყოს, ისე ადვილად შეიძლება მოტრიალება, როგორც ახლად მოჭერილისა; ამისათვის რკინის ნაჭერი უნდა კარგად გაახუროს, წვერი ჭახრაკის თავზედ დაადოს და ასე ორი სამი წამი დააცადოს, რომ ჭახრაკი მთლად გაცხელდეს. ამის შემდეგ ჭახრაკი ისე ადვილა იხსნება, როგორც ახალი ჭახრაკის მოხსნა არის ადვილი.

**ხეზედ ფისის ებოის და ღია ადგილების ამოვსება.** თუ ხეზედ ღია ადგილი კარგა მოზრდილია, მაგალ. კარებში ამოვარდნილი ნუჟრისაგან ამოღებული კლიტისაგან, ნალურსმი და სხვა; ამის ამოსავსებად საუკეთესო საშუალება შემდეგი არის; სადურგლო წებო უნდა გაიხსნას წყალში, გათბეს, შიგ (კარგა გამშრალი დასრესილი) ხის ნახერხი აერიოს იმდენი, რომ სქელი ფაფის მსგავსი ცომი გამოვიდეს და ამ ცომით ამოივსოს ხეზედ ცარიელი ადგილები; თუ გაშრობისას ამოვსებულმა ადგილებმა ჩაიწია, იმ ადგილებს მეორედ უნდა ჩაელესოს ის ფაფა. ასე ამოვსებული ადგილები ისე მაგრდება რომ დანარჩენ ხეს სიმაგრით სრულებით არ ჩამოურჩება.

## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

**ლონდონი.** „Daily News“-ს ქაირიდგან დეპეშით ატყობინებენ, რომ, როგორც ომდურმანიდგან იუწყებიან, ხალიფი ამ ქალაქის დასაპყრობად გამოემართაო. ინგლისის აფიცრები ამ ერთ კვირაში გაუდგებიან გზას. დაადგინეს ხართუმში სიფორდის რაზმი გაჰგზავნონ.

„Times“-ს დეპეშით ატყობინებენ ბულუვაიოდგან: „27 ოქტომბერს ბურები თავს დაესხნენ ადგილობრივ მკვიდრთა მეთაურს ხამუს, მაგრამ უკან იქმნენ დახეულნი. ხამუს ინგლისის მხარი უჭირავს.

„Daily News“ კიმბერლეიდგან აცყობინებენ, რომ ბურები ჯერ კიდევ ესვრიან ამ ქალაქს ყუმბარებს, თუმცა ვნებას ვერაფერს აყენებენო.

დურბანიდგან იუწყებიან, აქ ხმა გავრცელდა, რომ გენერალი ჟუბერი გარდაიცვალაო.

**დურბანი** 30 ოქტომბერი „Times of Hatal“-ს დეპეშით ატყობინებენ ლორენცო მარკეზედგან, რომ ჟუბერი 28 ოქტომბრის ბრძოლაში მოკლულ იქმნაო.

**ლონდონი.** „რეიტერის სააგენტო“. როგორც ესტკორტსა და პრეტორიიდგან მოსული დეპეშები იუწყება, ხუთშაბათს ბურებმა ძლიერი იერიში მიიტანეს ლედი-სმიტზედ.

**ესტკორტი.** 1 ნოემბერი. „რეიტერის სააგენტო“. უესტ-იორკშირის რაზმის ბატალიონი აქ მოვიდა. ყუმბარებს ქალაქს კიდევ ესვრიან. დღეს დილით საშინელი ზარბაზნების სროლის ხმა მოისმოდა. სამხედრო მატარებელი კოლენზოსკენ გაემართა საზვერათ.

**ლონდონი.** სამხედრო სამინისტრომ ცნობები მოითხოვა, მაგრამ ის ხმა, რომ ჟუბერი მოკლულ იქმნაო, არა მართლდება.

**ლონდონი.** დღეს სალამოთი გავრცელდა ხმა, რომ მოვიდა დეპეშა, რომელიც ჟუბერის სიკვდილს იუწყებაო. მაგრამ აქამდის სამხედრო სამინისტროს ამის შესახებ არავითარი ცნობა არ მიუღია.

**ბერლინი.** როგორც გაზეთებს ატყობინებენ პიტემარიცბურგიდგან, 1 ნოემბერს იქ ზარბაზნების სროლის ხმა მოისმოდა: ბურები ყუმბარებს ესროდნენ ლედი სმიტს ამავე დროს ბურები ესტკორტის ქვემოთ დაეშვნენ.

დურბანის გაზეთები იუწყებიან, რომ 28 ნოემბერს ჟუბერი დაჭრილ იქმნაო.

კაბშტადტის გაზეთები იუწყებიან, რომ ინგლისის 4000 ჯარის კაცი დელაარიდგან გავიდა და ამ ჟამად კიმბერლეიდგან 20 მილის სიშორეზედ იმყოფებაო.

**პარიზი.** პალატა. მელინი ამბობს, რომ მე არა მსურს არც რეამცია და არც რევოლიუციაო. ორატორმა გაჰკიცხა მთავრობის პოლიტიკა, რომელმაც სოციალისტებს მართვა-გამგეობის კარი გაუხსნა, კამათის გათავების შემდეგ, პალატამ, 840 ხმის უმეტესობით 215 ხმის წინააღმდეგ, შემდეგი ფორმულა მიიღო მორიგ საქმეებზედ გადასვლისა: „პალატა“ მოიწონა რა მთავრობის მიერ მიღებული ზომები რესპუბლიკის დასაცველად, გადადის და სხვა.. ამ ფორმულას მემარცხენენი „გაუმარჯოს რესპუბლიკას!“ ძახილით მიეგებნენ.

**პარიზი.** პალატა. პოლკოვნიკი გერენი იცავდა ნეგრიეს ყოფაქცევას (ტაშის ცემა მარჯვნივ). გალიფე თავს იმართლებდა, ბოლოს განაცხადა, მზადა ვარ პორტფოლი ნეგრიეს დაუთმოვო. მემარცხენენი ტაშის ცემით მიეგებნენ.

ძმ. თავართქილაძეების წიგნის მაღაზიებში არის დანიშნული 20 აგვისტოდან, 20 სექტემბრამდის

# იაფი ვაჭრობა

იაფად იყიდება ყოველივე სასწავლო და სახელმძღვანელო წიგნები, რვეულები და განსაკუთრებით ქართული საკუთარი გამოცემანი·

ძმათა თავართქილაძეებისავე სტამბებში, იყიდება ერთი ნახმარი სტამბის დაზგა (Станокъ) 100 მანეთი.

იქვე ისყიდება 24 ცინკის „კლიშე“ „მეფხის ტყაოსანის“ სურათებისა, სათაურით, სულ 50 მანეთი. (20—20)

# СПУТНИКЪ ЗДОРОВЬЯ

ОБЩЕДОСТУПНЫЙ ЕЖЕНЕДѢЛЬНЫЙ ЖУРНАЛЪ

**Въ годъ 52 №№ журнала и 12 книжекъ библіотеки «СПУТНИКЪ ЗДОРОВЬЯ».**

**Подписная цѣна**: съ пересылкой и доставкой: въ годъ 5 руб., на ½ года 3 руб., За границу 8 р.

**ОТКРЫТА ПОДПИСКА:**

съ 1-го Августа по 1-е Января 1900 года со всѣми приложеніями—2 руб. съ пересылкой.

За всякую перемѣну адреса—50 к., можно марками.

За объявленія: за строку петита въ одинъ столбецъ по 30 коп. (три столбца на страницѣ).

**ЦѢНА ОТДѢЛЬНАГО НОВЕРА 15 КОП.**

Подписка принимается въ конторѣ журнала, С,-Петербургъ, Невскій. 148.

**Въ. жлрналѣ принимаютъ учасгіе:** В. А. Анзиміровъ.—И. А. Баженовъ.—Проф. Н. И. Быстровъ.—Д-ръ В. М. Бурлаковъ.—Проф. А. Я Данилевскій.—Проф. В. П. Доброклонскій.—Проф. Г. А. Донбергъ.—Д-ръ А. О. Дукатъ.—Пр. доц. В. П. Жуковскій.—Проф. С. І. Залесскій,—Д-ръ М. Д. Ильинъ—Д-рь В. ф. Краевскій.—Проф. П. ф. Лесгафтъ.—Проф. Е.—. Павловъ.—Проф. В. В. Подвысоцкій (Кіевъ).—Проф. А. В. Пель.—Д-ръ В. И. Раммъ.—Проф. И. А. Сикорскій (Кіевъ).В Проф. И. П. Скворцовъ (Харьковъ).—Академикъ Князь И.р Тархановъ.—Д-ръ А. Н. Шабанова.—Д-ръ Б. Е. Шэхтеръ и др.

**Подписка на 1899 годъ продолжается.**

Всѣ вновь подписавшіеся на 1899 годъ получатъ журналъ со всѣми безплатными приложеніями съ 1-го Ноября 1898 года по 1-е Января 1900 года, т. е. 60 нумеровъ журнала и 19 ежемѣсячныхъ безплатныхъ книжекъ.

# განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება
წერა-კითხვის გამ. საზოგ. წიგნის
მაღაზიაში

იმერული
## სცენები

შეკრებილი ძ. მესხის მიერ
ფასი 5 კაპ.

ვინც „ცნობის ფურცლის" რედაქციიდან გამოიწერს ერთბაშად 25 ცალს, იმას ერთ მანათად დაეთმობა. (12—12)

იყიდება
„ცნობის ფურცლის" რედაქციაში
იაფ-ფასიანი
სახალხო გამოცემანი:

თავ. ილია ჭავჭავაძე . 2 „
ალექსანდრე ყაზბეგისა 2 „
სპარსეთის მეფე და ქართველი ტყვე . . . . 2 „
პატარა ბიბლიოთეკა . . 2 „

ვინც ას ცალს გამოიწერს, მანეთზე დაეთმობა ორი აბაზი.

მსურველნი მიჰმართავენ („ცნობის ფურცლის" რედაქციას. 30—30)

## КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) **Бухгалтеріи двойной итальянской** по разнымъ отраслямъ торговой пр мышленности,
2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи),
3) **Ариѳметики на счетахъ.**
4) **Коммерческой экономіи,**
5) **Торговыхъ и вексельныхъ узаконеній.**

преподаетъ **И. Я. БРОНЪ-ФОНЪ-БРЕННЕРЪ, препод. тифлисскихъ учебныхъ заведеній**

### Плата за весь курсъ 60 руб.

**Курсъ 3-мѣсячный**, при ежедневныхъ занятіяхъ въ теченіе 2 часовъ, по вечерамъ. Начало занятій—1-е число каждаго мѣ...

**За успѣшныя занятія лучшія аттестаціи отъ учебнаго на...**

Составленная И. Я. Бронъ фонъ-Бреннеръ книга «Коммерче... тика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на счетахъ, 2) монетныя вычисленія, 3) товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) торговыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (520 ... ачъ и таблицы). Цѣна 2 руб. **Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ ... автора: Михайловская ул., № 71.** (100—94)

### ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1899 ГОДЪ
## НА ЛИТЕРАТУРНЫЙ И НАУЧНО-ПОПУЛЯРНЫЙ ЖУРНАЛЪ
### для самообразованія

VIII-й г. изд. **„МІРЪ БОЖІЙ"** VIII-й г. изд.

*Выходитъ 1-го числа каждаго мѣсяца въ размѣрѣ не менѣе 25 печ. листовъ.*

Въ 1899 году журналъ будетъ издаваться по той же программѣ и при томъ же составѣ редакціи и сотрудниковъ, причемъ для напечатанія предполагается, между прочимъ, слѣдующее:

БЕЛЛЕТРИСТИКА ОРИГИНАЛЬНАЯ: «Освободилась», романъ А. Вернадской; «Риштау», повѣсть В. Сѣрошевскаго; «Отъ Волги до Портъ-Артура» (путевые очерки), Н. Гарина; «Душная ночь» (Изъ степныхъ очерковъ), разк. Ю. Безродней; «Каинъ и Артемъ» (Изъ жизни босяковъ), разск. М. Горькаго; «Въ ночной смѣнѣ», разсказъ изъ военнаго быта А. Куприна; разсказы г.г. Бунина, Потапенко, Станюковича, Чирикова.

**Научныя статьи и сочиненія.** «Антропологическіе очерки» проф. Брандта: «Современное положеніе вопроса о гипнотизмѣ», В. Битнера; «Чарльзъ Парнель», Ев. Тарле; «Очерки по исторіи русской культуры», часть III-я П. Милюкова. «Александръ I и его время», А. Прѣснякова: «А. С. Пушкинъ» (юбилейная статья), **Ив. Иванова**; «В. Г. Короленко», Ив. Иванова; «Ада Негри», В-я Фритче: «Очерки по соціальной экономіи», прив.-доц. М. Туганъ-Барановскаго; Послѣдствія переворота въ земледѣліи», Л. Крживицкаго; «Положеніе труда въ Англіи», Л. Давыдовой; «Рихардъ Авенаріусъ и эмпиріокритицизмъ» проф. Г. Челпанова; «Экспериментальная психологія, ея настоящее и будущее, д-ра философіи В. Анри.

ПЕРЕВОДНЫЯ СОЧИНЕНІЯ, «Очерки по исторіи соціальной философіи», Людвика Штейна, пер. съ нѣмецкаго; «Религія красоты» (Джонъ Рескинъ и его идеи), Сизеранна; «XIX вѣкъ въ различныхъ областяхъ науки, техники и общественной жизни», компилятивныя статьи; «Изъ исторіи тайныхъ обществъ у различныхъ народовъ».

Постоянные отдѣлы. Критическія замѣтки. Изъ западной литературы. На родинѣ. За границей. Научный обзоръ. Текущія научныя новости. Библіографія. Новости иностранной литературы.

### УСЛОВІЯ ПОДПИСКИ:

Съ доставкой и пересылкой во всѣ города Россіи на годъ 8 руб. 0 вс.
Безъ доставки на годъ . . . . . . . 7 „
За границу на годъ . . . . . . . 10 „

Вмѣсто разсрочки допускается подписка:

**По полугодіямъ;**

Съ доставкой и пересылкой во всѣ города Россіи на полгода 4 р.
За границу . . . 5 р.
Безъ доставки по соглашенію конторой

**по третямъ года:**

Съ доставкой и пересылкой въ города Россіи;
въ январѣ . . . 3 „
» маѣ . . . 3 „
» сентябрѣ . . . 2 „
За границу: въ январѣ . . 4 р.
» » » маѣ . . 3 р.
» » » сентябрѣ . . 3 „

Адресъ: С.-Петербургъ, Лиговка, 26.

Подписавшіеся на полгода или на треть года продолжаютъ подписку безъ повышенія подписной цѣны.

Уступки съ подписной цѣны никому не дѣлается.

Издательница А. Давыдова. Редакторъ В. П. Острогорскій

ახლად გახსნილი სამკერვალო და სავაჭრო საქონლის
## „უნივერსალნი მაღაზია"
ა. გ. ჟარიბოვისა (ტფილისში, პუშკინის ქუჩაზე, პუშკინის ბაღთან)

მუდმივ იყიდება ახალი საგალანტერიო, სათამაშო, სამრეწველო და სხვა მრავალგვარი საქონელი პირდაპირ ქარხნიდან გამოწერილი

ეს არის ახლად მიღებული დიდძალი

ქოლგები.
თეთრეული.
კორსეტები.
წინდები.
ჩულქები.
ფუფაიკები.
ქუდები.
პერჩატკები.
კრუჟევა რუსული და გრან.
შალები თბილი.
შარფები.
ყელსახვევი (ბოა).

შლიაპები.
სარტყლები.
მოსართავები.
ლენტები ყოველ ნაირი.
ბაღდადები.
ხელსახოცები.
ყელსახვევები.
პორბადები.
აგრამანტები.
გამაშები.
რეტიკულები.
ალბომები.

სარკეები.
ნესესერები.
პორტმონები.
სანობათო ნივთები.
საქორწილო სამკაულები.
სახავშო ტანსაცმლები.
ქალების კაბების საკაზმები.
ფანჯრის ლეღები.
ქსოვილი სუფრები.
საბნები ქსოვილის.
ბალიშის პირები.
ბამბები შალისა.
ყოველგვარი ფერისა.

კალოშები.
სამრეწველო საქონელი.
არტურ კრუპპის ქარხნის ლითონეულობის ნაკეთობა.
„ალპაკას" ნახელოვნები, სხლად მოვერცხლებული.
სამზარეულო ჭურჭლები, წინანდელ ნიკელიდან სასტუმროებისა და ოჯახისათვის.
შუშები ფანჯრებისათვის მოგემიდან.

ფასები ყველაფერზე სულ იაფია, უკანასკნელი და გადაჭრილი. ჩვენი საქონლის უპირატესობას, სიკარგესა და გამოსადეგობაში შეიძლება ყველა პირადათ ... (50—19)
მაღაზიას ყოველ კვირას სულ ახალ ახალი საქონელი მოუდის.